ფასი 50 კაპ.

# საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი

მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 93 შაბათი, 16 ნოემბერი, 1918 წ. № 93



მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით **10** მ., ცალკე ნომერი ყველგან **50** კაპ.
სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.
გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის **10—3** საათამდე.
(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.

---

ტფილისის მთავრობის (ყოფილი მეორე) საკომერციო სასწავლებლის კორპორაცია და სამზრუნველო საბჭო გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მოსწავლე ახალ-გაზდობას, რომ უდროოდ მიიცვალა ფრიად საყვარელი და დაუვიწყარი მეგობარი და ამხანაგი, მასწავლებელი

## კლემენს ემმანუილის ძე
## ბადერი

პანაშვიდი კათოლიკეთა ეკლესიაში ნიკოლოზის ქუჩაზე წირვა და ანდერძი დილის 10 საათზედ, გამოსვენება და დაკრძალვა კუკიის კათოლიკეთა სასაფლაოზე 16 ნოემბერს.
1042. 1—1

---

ტფილისის სამთავრობო (ყოფილი მეორე) კომერციული სასწავლებლის მე-7 კლასის მოწაფენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელი და დაუვიწყარი მასწავლებლის

## კლემენს ემმანუილის ძე
## ბადერის

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი კათოლიკეთა ეკლესიაში, ნიკოლოზის ქ., წირვა და ანდერძი დილის 10 საათზე, გამოსვენება და დაკრძალვა კუკუის კათოლიკეთა სასაფლაოზე 16 ნოემბერს.

---

კვირას, 17 ნოემბერს, დილის 11 საათზე დანიშნულია

## დამოუკიდებელთა (უპარტიო) კავშირის
## საზოგადო კრება

ახალ კლუბის დარბაზში. დღიური წესრიგი: 1. კავშირის დებულებათა ახალი პროექტი. 2. მიმდინარე საკითხები. 3. საბჭოს წევრთა არჩევნები.
1—1043—1 **კავშირის საბჭო.**

---

## საწერ მანქანებს
## ქართულ ენაზე ვიღებ გადასაკეთებლად.

შრიფტი ფოლადისაა და საუკეთესოთ შესრულებული. შეკვეთა შეიძლება
**ტეხნიკურ კანტორაში ინჟინერ ვ. ლ. კანდელაკისა,**
1020 ერევნის მოედანი, პუშკინის ქუჩა, № 1, ტელ. 16—36. 4—2

---

## ტფილისის ვაჭართა ბანკის გამგეობა

ამით სთხოვს ბანკის აქციონერებს, მობრძანდენ ჩვეულებრივ საზოგადო კრებაზე, რომელიც დანიშნულია კვირას, 15 დეკემბერს ახ. სტ., დილის 11 საათზე ქალაქის საკრედიტო საზოგადოების შენობაში (პუშკინის ქ. № 3). კრების წეს-რიგი: 1) საბჭოს, გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოხსენება. 2) ბანკისა და განყოფილებების საერთო ანგარიშის განხილვა და დამტკიცება და 1917 წ. მიცემული დივიდენდის რაოდენობის გამორკვევა. ბანკის ის აქციები, რომლებიც კრებაზე ხმის უფლებას აძლევენ ან და მათ მაგიერ სახელმწიფო და საკრედიტო დაწესებულებიდან მიღებული მოწმობები აქციების შენახვის ან დაგირავების შესახებ, აქციების ნომრების ჩვენებით, უნდა წარმოდგენილ იქნეს ბანკის გამგეობაში თუ მეტი არა 7 დღით მაინც ადრე საზოგადო კრებაზე. მეორეთ გამოშვებულ აქციების დროებითი მოწმობების წარდგენა, როგორც სახელობითი აქციების, საჭირო არ არის, რადგან მათი პატრონების სახელები შეტანილი იქნება აქციონერთა სიაში, ბანკის წიგნების მიხედვით. ვექილობა ხმის გადასაცემად უნდა გადაეცეს გამგეობას არა უგვიანეს 3 დღისა საზოგადო კრებამდე. პირველად გამოშვებული აქციები (№ № 1—20000) ან და მათ მაგიერი ვექილობები მიიღება ბანკის გამგეობაში ყოველ დღე დღის 10-დან 12-საათამდე, გარდა უქმეებისა. მათი მიღების ვადა თავდება შაბათს, 7 დეკემბერს, დღის 12 საათ. 953 1—1

---

## სახელმწიფო თეატრი

**შაბათს, 16 ნოემბერს**

მ. ი. ალეშკოს, ვ. ა. ბერეზინისა და ფ. ნ. პოლიაევას მონაწილეობით

I

### სელსკაია ჩესტ

ოპერა ერთ მოქმედებათ.

II

ო. ა. შულგინას, ტ. ორდას და ა. მ. კანშინის მონაწილეობით

### პაიაცი

ოპერა ორ მოქ. მუსიკა ლეონკოვალოსი.

ფასები საგრძნობლად დაკლებულია, დასაწყისი 8 საათზე. კვირას, 17 ნოემბერს დილით, ტ. ა. შვამბერგის, ვ. მ. ბერეზინისა და ვ. ა. ნიკოლსკის მონაწილეობით "ფაუსტი". საღამოს ო. ა. შულგინას, ზალიპსკისა და პოლიაევის მონაწილეობით „M-me ბატერფლეი.“
წარმომადგენელი ს. ი. ევლახოვი

---

## სახელმწიფო თეატრი

**ორშაბათს, 18 ნოემბერს**

ქართ. დრამატიული საზოგადოების ახალი დასი ხსნის სეზონს ბრიეს 5 მოქ. მუსიკალური დრამით

### „სარწმუნოება“

პიესა რამდენჯერმე განმეორდება. სხვა და სხვა ანსაბლით. შემდეგი წარმოდგენები: „დალატი“, „მსხვერპლი“, „ბურუსი“, „ვითა ფოთლები“ და სხვა.
რეჟისორი გ. ჯაბადარი. ადმინისტრ. მიხ. ხერხეულიძე.

---

## კავკასიის ბანკის გამგეობა აუწყებს აქციონერებს,

რომ აქციებისა და დროებითი მოწმობების მიღება, რომლებიც უნდა წარედგინოს არა ჩვეულებრივ საზოგადო კრებას, დანიშნულს ოთხშაბათს, 20 ნოემბერს, შესწყდება ოთხშაბათს, 27 ნოემბერს, დღის 1 საათზე. 1—955—1

---

## ექიმი ი. ქ. აბაკელია

**შინაგანი ავადმყოფობა.**

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა გულისა და ჯირკვლებისა.
ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ-ჰლექისა სისხლნაკლულობისა და მალარიისა.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$— 6 საათამდე.
პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86.
№ 719.

---

**მედიცინის დოქტორი**
ბერლინის უნივერსიტეტისა

## გ. გ. მეგრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.
624. 18—1.


---

[illegible]

5 000 000 მან.

## ქართულ უნივერსიტეტის
და
## თეატრის სასარგებლოთ.

**პირველი მოგება 100000 მანეთია**

ბილეთები იყიდება ყველგან, სადაც კი გამოცხადებულია.

***

ვინც ეტრფიალება
ქართულს ხელოვნებას,
ვინც ეთაყვანება
ჩვენს მეცნიერებას,
ყურად იღებს იგი
ამ ჩვენს მოწოდებას:
ერო! ძლივს ეღირსე
განთავისუფლებას,
ძლივს ხორცი შეესხა
შენს ნატვრა-ოცნებას:
დღეს შენვე განაგებ
შენს ყოფა-ცხოვრებას!
კულტურულ საქმესაც
შენ უნდა მიჰხედო,
მის აღორძინებას
მტლად უნდა დაედო,
ერო! შენი ბედი
შენვე უნდა სჭედო!
მაშ, შეუწყე ხელი
ქვეყნის აღყვავებას,
ბეჩავ შენთა ძეთა
სწავლა-განათლებას,
ევროპიულ ცოდნით
აღზრდა-ამაღლებას!
ჩვენც ამ მიზნით ვმართავთ
ამ დიდს ლატარიას;
გვწამს თქვენც დაამშვენებთ
ახალს ისტორიას!

---

**ოფიციალური განყოფილება**

## განკარგულებანი

**საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრისა.**

14 ნოემბერი, 1918 წ.

№ 40.

დატოვებულ იქმნენ თავიანთ თანამდებობაზე: ტფილისის სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებელი გ. ო. ჯომარჯიძე და ამავე სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელი ბ. დ. რუსანოვი ახალ შტატებით წინხედულ ჯამაგირის დანიშვნით 1918 წ. სექტემბრის 1-დან.

14 ნოემბერი, 1918 წ.

№ 41.

დანიშნულ იქმნა: იუსტიციის სამინისტროსთან დაარსებულ საკოდიფიკაციო განყოფილების კორექტორად იოსებ გრიგოლის ძე მამულაშვილი-გრიშაშვილი ამა ნოემბრის 1-დან.

14 ნოემბერი, 1918 წ.

№ 42.

დანიშნულ იქმნენ: გიორგი დიმიტრის ძე კანდელაკი ტფილისის საპყრობილეთა ინსპექტორის უფროს თანაშემწედ, ტიგრან ღვთისწყალობის ძე იარალოვი-უმცროს თანაშემწედ.

იუსტიციის მინისტრი მესხიშვილი.

### საქართველოს რესპუბლიკის გზათა მინისტრისა.

14 ნოემბერი, 1918 წ.

№ 48.

ევალება ტყვიბულის ქვანახშირის ინჟენერ პ. აბაშიძეს საჩქაროდ მოახდინოს ანგარიშის გასწორება მაღაროებში ყოფილ მომუშავე მუშებთან და მოსამსახურეებთან; დახუროს მაღაროები და დასტოვოს მხოლოდ მაღაროს სიმდიდრის სათვალყუროთ მთავრობის წინაშე პასუხის მგებელნი აუცილებლად საჭირო პირნი.

გზათა მინისტრი ივ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე.

### ტფილისის ქალაქის მილიციის უფროსისა.

12 ნოემბერი, 1918 წ.

№ 287.

§ 12.

უმცროს მილიციონერს მუსეიდ კოპჩიევს ეძლევა თავისუფლება 10 დღით.

§ 13.

სამსახურიდან დათხოვნილია, თხოვნის თანახმად, მე-3 უბ. უმცროსი მილიციონერი მორჩილაძე 1 ნოემბრიდან.

§ 14.

დანიშნულ ვადაზე სამსახურში გამოუცხადებლობის გამო, სამსახურიდან დათხოვნილია სისხლის სამართლის მილლიციის უფროსის დროებით თანამდებობის აღმასრულებელი პეტრე ჩაჩავა.

§ 15.

მე-2 უბ. უმცროს მილიციონერს ნიკოლოზ ბარათაშვილს სამსახურიდან ვანთავისუფლებ 12 დღით.

§ 16.

თხოვნის თანახმად სამსახურიდან დათხოვნილია მე-7 უბ. უმცროსი მილიციონერი გვარამაძე ამ რიცხვიდან.

§ 17.

მე-8 უბნის უმცროსი მილიციონერი მიხეილ ხურცილავა, რომელიც უფროსი მილიციონერის თანამდებობას ასრულებდა, დამტკიცებულია ამ თანამდებობაზე 1 ნოემბრიდან.

§ 18.

ვალერიანე კონსტანტინეს ძე ცომაია დანიშნულია მე-10 უბნის უმცროს მილიციონერად.

§ 19.

სამსახურისადმი გულ-გრილად მოპყრობის გამო, სამსახურიდან დათხოვნილია მესამე უბნის უმცროსი მილიციონერი ხაჩატურიანი.

§ 20.

მესამე უბნის უფროს მილიციონერად დაინიშნა გიორგი არტემის ძე მამულოვი.

§ 21.

ტუსაღთა გაშვების გამო სამსახურიდან დათხოვნილია და სამართალში მიცემულია უმცროსი მილიციონერი ნიკოლოზ ჩხეიძე.

§ 22.

თხოვნის თანახმად, სამსახურიდან დათხოვნილია მე-4 უბ. კომისრის თანაშემწე სოლომონოვი 1 ნოემბრიდან.

§ 23.

მე-4 უბნის კომისრის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი უფროსი მილიციონერი ვლადიმერ ურუშაძე დანიშნულია იმავე უბნის კომისრის თანაშემწედ 1 ნოებრიდან.

მილიციის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი ა. უ რ უ შ ა ძ ე.

## არა ოფიციალური განყოფილება

### ტფილისი, 16 ნოემბერი.

ამ ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში უდიდესი ცვლილებები მოხდა საერთაშორისო მდგომარეობაში. ომის ხანა გადაიქცა იმ საზღვრად, რომლითაც იფარგლება ძველი კაცობრიობა და ახალი კაცობრიობა, ‌და ეს უკანასკნელი ომის ნანგრევ-განადგურებულ ცხოვრებაზე ცდილობს ახალი საზოგადოების მოწყობას.

ამ ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში შეირყა საფუძვლიანად ძველი შინაარსი და ფორმა მსოფლიოს ცხოვრებისა, და საისტორიო ასპარეზზე მძლავრად გამოდის მეპატრონე მომავლისა.

რუსეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, ავსტრია-ჰუნგრეთი, გერმანია, (აუცილებლად ოსმალეთიც)—ეს-ფეოდალურ ნაშთებზე გამაგრებული ქვეყნები ისტორიის ცივი კანონების, ისტორიულ კანონშეწონილების კარნახით დაიმსხვრენ.

ამ საერთო ნგრევა-რღვევის და ქმნის პროცესში სხვა ერებს, რომელნიც ისტორიაში თავისი სახით გამოვიდენ, მიემატა საქართველო, რომელიც მეორეთ 26 მაისს იშვა. მან დაბადებისთანავე გადმოისროლა დევიზი, რომლის განხორციელებისაკენ მთელი მოწინავე კაცობრიობა ისწრაფვის. 26 მაისის აქტში საქართველოს სისხლით დაწერილია:

1. ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა—დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3. საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა.

6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

აი საქართველოს დემოკრატიული მიზანი და დემოკრატიული საშუალება-გზა კაცობრიობის ბრწყინვალე მომავლისაკენ, გზა, რომელსაც იცავს მთელი ქვეყნის სოციალური დემოკრატია. და ვერ იტყვის ვერავინ, რომ საქართველო თავის აღთქმას არ ანხორციელებდეს. ვერ იტყვის ვერავინ, რომ ამ გზისათვის მას ერთი წუთიც გადაეხვიოს. იგი იცავდა სუვერენობას—დემოკრატიულ რესპუბლიკას. იგი იცავდა სრულ ნეიტრალობას; დიახ! მას იგი არასდროს არ დაურღვევია და ამ საშინელების ქარცეცხლში პირნათლად გამოსულა. იგი იცავდა კეთილმეზობლურ განწყობილებას ყ ვ ე ლ ა ს თ ა ნ და ამ შემთხვევაში მას ბევრი მოუთმენია და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მის ძვალ-რბილში გამჯდარია სიძულვილი ომისა და სისხლისღვრისადმი. იგი უზრუნველყოფდა ყველა მოქალაქეს და სხვა ერის შვილებსაც ისე უვლიდა და პატრონობდა, როგორც თავისას. უმწიკვლოდ და წმინდად შეასრულა და ასრულებს ის თავის პირობას და ამას იტყვის იგი იქ, სადაც მომავალი ერები ერთმანეთს შეხვდებიან.

საქართველოს სუვერენობა დღეს საქართველოს დემოკრატიის სულის თქმა-მისწრაფებაა და უბრალო თქმაც კი ამის წინაალმდეგ გულის წყრომას იწვევს მასში, რადგან მას ესმის და გრძნობს ისტორიის გეზს, რომელსაც მსოფლიო ეროვნულ სახელმწიფოებისაკენ მიჰყავს. დღეს, როდესაც, მიუხედავად იმისა, რომ ჰქა-ქუხილი შესწყდა, ბრძოლა მაინც გრძელდება და გამარჯვებულის უხეში ძალა დამარცხებულთა მხარეს აწვება,—დღეს, როდესაც კიდევ მოისმის ჯართა ფეხის ხმა და ახლო აღმოსავლეთში არსებითად მდგომარეობა იცვლება, ინგლისის ფლოტი შავს ზღვაში შემოდის,—ერთხელ კიდევ საქართველო გამოაცხადებს: ვიცავ ჩემს დამოუკიდებლობას! ვიცავ ჩემს დემოკრატიულ რესპუბლიკას! ვიცავ სრულ ნეიტრალიტეტს! მივისწრაფი ბრწყინვალე მომავლისაკენ. ეს ბრწყინვალე მომავალი გვწამს ჩვენ. ამ რწმენას გვიღვივებს და გვიმტკიცებს ისტორია, რომელიც ერთა შორის ძმობა-ერთობისაკენ და ერთა თავისუფალ შეთანხმებისკენ მიემართება.

## შინაგან საქმეთა სამინისტროში

### ბოლშევიკების გადასახლება.

შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით მეტეხის ციხეში მოთავსებული ბოლშევიკები ხოშტარია მარკოზი, ტალახაძე ილარიონ, ავალიანი ქრისტეფორე, ალავერდოვი სტეფანე, მაჰაროვი კონსტანტინე, მდივანი პოლიკარპე, ელბაქიძე არკადი და თალაკვაძე ისიდორე გადაასახლეს ტფილისიდან ნაჩვენებ ადგილებში გარდა ალავერდოვისა, რომელსაც წინადადება მიეცა სხვა ადგილი არჩიოს საცხოვრებლად. ყველა ზემო აღნიშნულ პირთა შუამდგომლობა, რომ მათ 2 კვირის ვადა მიეცეს დასარჩენად, შეწყნარებულ არ იქმნა და 20 ნოემბერს უნდა გაგზავნილ იქმნენ. რუხაძეც მინისტრის განკარგულებით იგზავნება, მხოლოდ უნდა მიეცეს წინადადება აირჩიოს საცხოვრებელი ბინა.

## გზათა სამინისტროში.

### გერმანელთა ეშელონები.

გზათა სამინისტრომ რკინის გზით 14 და 15 ნოემბერს გაგზავნა გერმანელთა თითო ეშელონი და კიდევ 15 ეშელონის გადაყვანა აქვს შეკვეთილი.

### დ ა ნ ი შ ვ ნ ა

ინჟ. გ. ზ. ანდრონიკაშვილი დაინიშნა გზათა სამინისტროს სატეხნიკო ნაწილის უფროსის თანაშემწედ.

### შტატების შემცირება

გზათა სამინისტროში განზრახულია დღემდე შემცირებულ შტატების გარდა კიდევ შეამოკლოს შტატები.

### ტყვიბულის საქმეთა ლიკვიდაცია.

დღეს მიემგზავრება ტყვიბულში ინჟ. პ. აბაშიძე, რომელმაც უნდა მოახდინოს სრული ანგარიშის მოხდენა ტყვიბულის მაღნების მოსამსახურეთა და მუშათა.

### სამინისტროს დებულება.

გზათა სამინისტროს განკარგულებით შემდგარია საგანგებო კომისია გზათა სამინისტროს დებულების სარედაქციოთ. კომისიაში შესული არიან რკინის გზის საერთო საქმეთა მართველი ფიცხელაური, იურისკონსულტი საქართველოს რკინის გზებისა ი. ზურაბიშვილი, გზათა სამინისტროს იურისკონსულტი მიქელაძე, გზათა საოლქოს უფროსი ინჟ. თუმანიშვილი და ინჟ. გ. ანდრონიკაშვილი.

## სამხედრო სამინისტროში

### კომისია.

სამხედრო სატუსაღოების დაწესებულებათა პროექტის შესამუშავებლად სხვა სამინისტროებთან შეთანხმებით სამხედრო მინისტრმა დანიშნა ახალი კომისია გენერალ დადეშქელიანის თავმჯდომარეობით.

---

## ნავთის საკითხი

### ილდოყანის ნავთი.

ილდოყანის ნავთი არამც თუ მარტო სათბობათ აგრეთვე გასანათებადაც ვარგისი გამომდგარა და სურახანის ნავთსა ჰგავს. ამ ნავთს გაუწმენდელად ლამპრის ასანთებათ წუნი ისა აქვს, რომ საათ ნახევარ ან ორ საათში ერთხელ ლამპრის ფითილა ნამწვი უნდა მოსჭრან. ილდოყანის ნავთი გასანათებათ ტფილისში ცოტ ცოტა პარტიებით ჩამოაქვთ გასასყიდათ და გირვანქას 4—5 მანეთად იტაცებენ და ყველა მსურველს არა ჰყოფნის.

### ბაქოს ნავთი.

გზათა სამინისტროს საექსპლოატაციო ნაწილის უფროსი ტოლსტონოგოვი გზათა სამინისტროს პირდაპირი მავთულით ატყობინებს: ადერბეიჯანის მთავრობამ წინადადება მოგვცა შევისყიდოთ ბაქოში 50.000 ფუთი ბენზინი, ფუთი 100 მანეთად, ტფილისში გადმოტანით. იმ პირობით კი, რომ მათ მიცეთ უფლება 50.000 ფუთი ბენზინის ჩვენზა შემოტანისა საქართველოს რესპუბლიკაში გასაყიდათ. აქაურმა ჩვენმა წარმომადგენელთა საბჭომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ჩვენ საამისო ჰურჰელი არ მოგვეპოვება და არც მისი ზღვით შემოტანა შეგვიძლიან, ამიტომ საჭიროდ დავინახეთ შევეკითხოთ ჩვენს მთავრობას. გარდა ამისა წინადადებას გვაძლევენ 50.000 ფუთი ნავთის შეძენისათვის ფუთს 40 მანეთობაზე საქართველოდან მისი ექსპორტის უფლებით.

წინად განსაზღვრულ ჩვენთვის კუთვნილ ნავთის გადმოსაზიდად, გთხოვთ დაუყოვნებლივ გამოგზავნოთ ორი მატარებელი. გუშინ საქართველოში გამოვგზავნეთ 57 ცისტერნი, მათში 16 ცისტერნი ნავთია. ჩვენი წარმომომადგენელი ქარცივაძე გთხოვთ გამოგზავნოთ დახურული ვაგონები აქაურ ქართველთა სამშობლოში წამოსასვლელად, რომელთა მდგომარეობაც აქ ფრიად მძიმეა.

---

## ე რ ო ბ ა.

### ჯარის საკითხი.

საქართველოში ერობის შემომღებმა მთავარმა ინსტრუქტორმა ტიტე მარგველაშვილმა დაუგზავნა სამაზრო საარჩევნო ინსტრუქტორებს განმარტება, რომ მთავრობის დადგენილების თანახმად ჯარი პოლიტიკის გარეშეა აღიარებული და საერობო არჩევნებში სამხედრო მოხელენი და ჯარის კაცები მონაწილეობას არ იღებენ.

### ზუგდიდის მაზრა.

უკანასკნელი ცნობების მიხედვით ზუგდიდის მაზრაში ერობის შემოღების კომიტეტი უკვე დაარსდა საერთოდ მიღებული წესით. კომიტეტმა დღემდის მოაწესრიგა წინასწარი მუშაობა ე. ი. შეასწორა ამომრჩეველთა სია. მთელი მაზრა დაჰყო 5 რაიონად. ყოველ რაიონში უკვე შესდგა კომისიები. რაიონი დაყოფილია უბნებად და ყველა უბნების თავმჯდომარეები დამტკიცებულია. მუშაობა მწყობრად მიმდინარეობს. არჩევნების დღე დანიშნულია 1 დეკემბერს ახალი სტილით.

---

## დელეგაციები

### ინგლისელ-ფრანგთა დელეგაციის ჩამოსვლა.

გუშინ ტფილისში ჩამოვიდა ინგლისელფრანგთა მისია, რომელიც 5 კაცისაგან შესდგება. მილიციის განკარგულებით რუსთა ეროვ. საბჭოს წინადადება მიეცა დაუცალოს მისიას ოთხი ოთახი სასტუმრო „ლონდონში“.

### საქართველოს დელეგაციის ჩამოსვლა.

საქართველოს დელეგაცია გ. გვაზავას მეთაურობით ტფილისში დაბრუნდა.

---

## რევოლიუცია გერმანიაში

### (ც ნ ო ბ ე ბ ი მ ო ს კ ო ვ ი დ ა ნ).

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი ჩიჩერინი პირდაპირი მავთულით ესაუბრა დეპუტატ ოსკარ კონს, გერმანიის ამბების შესახებ. საუბრიდან შემდეგი გამოირკვა: ახალი მთავრობა შესდგა დამოუკიდებელთა და შეიდემანელთა შეთანხმებით. კაბინეტში თანასწორი უფლებით შედის 6 კაცი. მთავრობაში დამოუკიდებელთა მხრით შედის: ჰააზე, დიტმანი და ბარტი. შეიდემანელთა მხრით: ებერტი, ლანსბერგი და შეიდემანი.

მ ო ს კ ო ვ ი. ბერლინის საბჭოს თავმჯდომარედ აქამდე ბარტი იყო. სპარტაკის ჯგუფი მთავრობაში არ მონაწილეობს. მოკლე ხანში შესდგება სრულიად გერმანიის საბჭოთა ყრილობა. სპარტაკის ჯგუფმა გამოსცა გაზეთი „წითელი დროშა“. მთავარმა შტაბმა სცნო საბჭოები. გერმანიის ჯარი სტოვებს დაპყრობილ ადგილებს. მოკავშირეთა სახელმწიფონი მოითხოვენ გერმანიიდან 5,000 ორთქლმავალს, 150,000 ვაგონს, 10,000 ავტომობილს და დაჭერილ ადგილებში მათი ჯარის სურსათით დაკმაყოფილებას. მოკავშირეთა ფლოტის კარტე-გაიში თავისუფალ გაშვებას. რუმინიამ გერმანიას ომი გამოუცხადა. დამოუკიდებელნი მოითხოვენ იოფეს დაბრუნებას ბერლინში. რუსის სამხედრო ტყვეების სამშობლოში გასაგზავნათ ზომებია მიღებული. დამოუკიდებელთა და შეიდემანელთა შეთანხმების პროგრამა შემდეგია: 1) პოლიტიკური ძალა-უფლება საბჭოთა ხელში უნდა იყოს, 2) რევოლიუციის მიზანია დამფუძნებელ კრების მოუწვევლათ შესდგეს გერმანიის სოციალისტური რესპუბლიკა. შესაძლებელია, რომ ბურჟუაზიასთან შეთანხმება არ მოხდეს. კაბინეთში მყოფ ყოველ არა სოციალისტ-მინისტრთან ერთად მუშაობს ორი პოლიტიკური კომისარი. ბერლინში მიემგზავრება ზინოვიევი, რადეკი და პეტროვი. ყოველ დღე საღმოს 8 საათს ჩიჩერინი პირდაპირი მავთულით ილაპარაკებს ბერლინთან.

---

## პროლეტარიატს

ამიერ-კავკასიის ს.-დ. ორგანიზაციათა მერვე ყრილობამ დაგზავნა შემდეგი ტელეგრამები: მერვე ყრილობა ამიერ-კავკასიის ს.-დ. ორგანიზაციებისა გულითად სალამს უძღვნის რუსეთის სოციალისტურ პროლეტარიატს რ. ს. დ. მ. პ. ცენტრალურ კომიტეტის სახით.

საერთაშორისო, ძმათა შორის სისხლის მღვრელ ომის აღსასრულის ჟამს, როცა უკვე გამოჩნდა განთიადი ინტერნაციონალის ბრწყინვალე დღესასწაულისა, ჩვენ გვწამს, რომ რუსეთის პროლეტარიატი თავს დააღწევს იმ მძიმე გასაჭირს, რომელიც მას მიაყენა ომმა და დემოკრატიის დამარცხებამ, ორმა უბედურებამ, რომელთა ასაშორებლად თავის დროზე ინტერნაციონალს არა ჰქონდა საკმაო ძალა. ჩვენ გვწამს, რომ ეხლა, ინტერნაციონალის აღდგენასთან ერთად, აღსდგება რუსეთის სოც.-დემოკრატია და პროლეტარიატი, დაამარცხებს იმ გამხრწნელ ძალებს, რომლებმაც დაარღვიეს დემოკრატიის ერთობა და კვლავ დაიჭერს ღირსეულ ალაგს საერთაშორისო დემოკრატიის მოძრაობაში, რომელსაც სწორი გზით მივყევართ სოციალიზმისაკენ.

გერმანიის რევოლიუციის ზეიმის ჟამს შეკრებილი ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციათა მერვე ყრილობა მხურვალე სალამს უძღვნის გერმანიის პროლეტარიატს, მისი სოციალ-დემოკრატიის სახით ყრილობას სწამს, რომ გერმანიის პროლეტარიატი, რომელმაც აიღო ინიციატივა მონარქიის დამხობისა და რესპუბლიკის დამყარებისა, თავს დააღწევს რა ომის საშინელებასა და იმპერიალისტურ ბორკილებს, შესძლებს მიაღწიოს თავის საბოლოო მიზანს მის მიერ არჩეული გზით-დემოკრატიზმით სოციალიზმისაკენ.

მერვე ყრილობა ამიერ კავკასიის ს. დ. ორგანიზაციებისა, შეკრებილი იმ დღეს, როცა ხუთი წლის ომის შემდეგ, რომელმაც გასთიშა კაცობრიობა, პირველად შესწყდა სისხლის ღვრა ფრონტებზე, თავის ძმურ სალამს უძღვნის საერთაშორისო პროლეტერიატს, მისი ცენტრალურ ორგანოს სახით. ყრილობას მტკიცეთა სწამს, რომ მოახლოვდა ჟამი ინტერნაციონალის აღდგენისა, რომლისაგანაც კაცობრიობა მოელის იმ ჭრილობათა განკურნებას, რომელიც მას საზარელმა იმპერილისტურმა ომმა მიაყენა.

ყრილობას მტკიცეთა სწამს, რომ განახლებული ინტერნაციონალი შესძლებს გადასჭრას საკითხი, რომელიც ისტორიის მსვლელობით დღეს წესრიგში დაისვა, საკითხი სრული განთავისუფლებისა და სოციალიზმის დამყარებისა.

## ზავის გარეშემო.

(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)

ლოიდ-ჯორჯის უკანასკნელ სიტყვის გამო გერმანიის ახალი მთავრობის წევრმა შეიდემანმა სთქვა: „ლოიდ ჯორჯი ამყარებს თავის ტრიუმფს გერმანიის უმწეო მდგომარეობაზე. მას სურს გერმანიის ხალხის სრული განადგურება, რადგან გერმანიის ხალხი, მისი აზრით, პასუხისმგებელია თავის ძველი მთავრობის მაგიერ. ამასთან ერთად ლოიდ ჯორჯი ქებით იხსენიებს ინგლისის ხალხის და ბრიტანიის იმპერიის ერთსულოვნებას, რომელიც მისი აზრით, მხარს უჭერს თავის მთავრობის სამხედრო პოლიტიკას. ორივე მოსაზრება სიმართლეს მოკლებულია. ლოიდ-ჯორჯმა კარგათ იცის, რომ გერმანიის ხალხი, მასა და ძველი მთავრობის უმეტესობაც არა თუ უკმაყოფილო იყო ჯარის უფროსთა პრინციპებით, არამედ ძალიან ხშირად, აშკარად ილაშქრებდნენ მის წინააღმდეგ. ლოიდ-ჯორჯმა ისიც იცის, რომ ინგლისში არ არსებობს მთლიანობა და ერთსულოვნება. ინგლისის ხალხში, ჯარში და ფლოტში არის ის კონტრასტი, რომელიც გერმანიის უფროსებსა და ხელქვეითებს შორის არსებობს. გაძლიერების პოლიტიკაში... (შემდეგი დამახინჯებულია).

მან დაუფარავათ აღიარა, რომ ზავის ჩამოგდება, რომელიც გერმანიის ხალხს სურდა, ჩვენ დააგვიანა იმიტომ, რომ გერმანიის წესწყობილება დაენგრია შინაურ გალატაკებას. გერმანიის ხალხმა ამ დიდ დროში უნდა დაუმტკიცოს ლოიდ-ჯორჯს, რომ მის მიერ მიღებული წყობილება შეეფერება ამ საშინელ მოთხოვნილებას. მთელი ქვეყნის განთავისუფლების დროს ინგლისის და მათ მოკავშირე ხალხმა უნდა გასწყვიტოს ყოველგვარი კავშირი თავის იმპერიალისტურ მთავრობასთან. შემუშავებული დროებითი ზავის პირობებით, რომელიც უკვე გამოქვეყნებულია მთელის ტექსტით და შეიცავს 35 პუნქტს, გერმანიის პრესა უკმაყოფილოა.

„ბერლინერ.—ტაგებლატი“ ეყრდნობა იმ ფაქტს, რომ ჯერ კიდევ არაფერი არათქმულა იმის შესახებ, რომელიც გერმანიის ხალხს სურდა აეცდინა თავიდან უცხოეთის ჯარის სურსათით დაკმაყოფილების მოვალეობა და რკინის გზის მასალის გადატანის შესახებ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ მოთხოვნილებას მოხსნიან და შესაძლებელია პირობათა შემსუბუქება და კომპრომისი. „ბერლინერ-ლოკალ-ანცეიგერი“ მსჯელობს 5000 ლოკომოტივის და 15000 საბარგო ვაგონის დაცემის შესახებ და უკავშირებს მას გერმანიის ვალდებულებას დააბრუნოს თავიანთ სახლში მრავალ მილიონიანი ჯარი, რომელიც აგრეთვე რუმინიაში და რუსეთშია გაბნეული. ამ ვალდებულობის შესრულება, ამბობს გაზეთი, შეუძლებელი იქნება, თუ ჩვენ გვექნა ჯარის გადაყვან-გადმოყვანის საშუალება. 14 დღის განმავლობაში ჩვენ უნდა გადავცეთ მტერს მანქანების და ვაგონების მეხუთედი ნაწილი. სურსათის მხრივ ჩვენი ხალხის მდგომარეობა საეჭვოა. ქალაქის მცხოვრებნი, რომელნიც სურსათს სოფლებიდან მოელიან საშიშ მდგომარეობაში ვარდება. ასეთი პირობების წამოყენება შეუძლიან მხოლოდ მას, ვისაც სურს წინდაწინ გადასწყდეს ერთი იმ კითხვათაგანი, რომელიც საზავო მოლაპარაკების დროს უნდა გადაწყვეტილიყო. გერმანიის მრეწველობას ეს მოვლენა დიდი ხნით აუსტებს და ძირს უთხრის და აძლიერებს უბრალებელ ბლოკადას იმ დროს, როცა სისხლი აღარ იღვრება. მაშასადამე ხოცვა-ჟლეტა იწყება მას შემდეგ, როცა ის შესწყდა ბრძოლის ველზე. ახალი მკვლელობა ხდება ან უსისხლოდ და შიმშილის ბლოკადა მით უფრო მწვავეა, რომ ვალდებულათ გვხდიან ჩვენ ტერიტორიაზე მტრის ჯარი დავაკმაყოფილოთ სურსათით.

## ადერბეიჯანი

### დამოუკიდებლობის დაცვა.

გაზ. „ადერბეიჯანი“ სწერს: „ჩვენ ვხედავთ, რომ აქ ჩვენი სახელმწიფოებრივ წეს-წყობილების წინააღმდეგ მუშაობს მტრული ძალა. ეს ძალა სცდილობს ჩვენი ახალგაზრდა სახელმწიფოს საფუძველი დაასუსტოს. ჩვენი მცხოვრების შინაურ ამ მხარეს დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ, ყოველგვარი თავდასხმის ცდა ჩვენ სახელმწიფოებრივ წეს-წყობილებაზე და მტრული გამოსვლა ძირიანფესვიანად უნდა ამოიფხვრას, საიდანაც უნდა მოდიოდეს იგი. სულიერი სიმტკიცე და სივაჟკაცე უნდა იყოს ლოზუნგათ ყველა მოქალაქეთათვის, ვისაც უყვარს თავისი დამოუკიდებელი სამშობლო“.

### ადერბეიჯანის პარლამენტი.

ადერბეიჯანის მთავრობამ დაადგინა 16 ნოემბრისათვის მოიწვიოს წინანდელი შემადგენლობის მუსულმანთა ნაციონალური საბჭო, რომელიც უნდა შეივსოს მცხოვრებთა ყველა ერის და ნაციონალურ უმცირესობათა წარმომადგენლებით. ადერბეიჯანის პარლამენტში წევრთა რიცხვი იქნება—120.

### ადერბეიჯანის დროშა.

ადერბეიჯანის მთავრობამ დაამტკიცა ადერბეიჯანის სახელმწიფოს დროშა სამი ფერისაგან: მწვანე, წითელი და მტრედის ფერი წითელ ფონზე ნახევარ მთვარით რვაკუთხიანი ვარსკვლავით.

## კანონ-პროექტები.

### იუსტიციის სამინისტროს დამატებითი კანონ-პროექტი ქვეშევრდომობისა საქართველოში, მისი მოპოვებისა და დაკარგვისა.

საქართველოს ქვეშევრდომობის ამ ჟამად მომქმედ დადგენილებათა დამატებათ და განსავითარებლად, დადგენილ იქმნას შემდეგი წესი:

1) იმ პირთა გარდა, რომელნიც მოხსენებულნი არიან ქვეშევრდომობის კანონში, საქართველოს ქვეშევრდომებად ირიცხებიან აგრეთვე:

ა) ყველა ქართველნი, მათი საცხოვრებელი ადგილისა და დროის დამოუკიდებლათ, უკეთუ იგინი ექვსი თვის განმავლობაში დღიდან ამ კანონის გამოცემებისა არ განაცხადებენ, რომ მათ არ სურთ ირიცხებოდენ საქართველოს ქვეშევრდომებად.

ბ) მათი ცოლ-შვილნი.

2) ზემოდ აღნიშნულ პირთა გარდა, ყოველს უცხო ქვეყნის ქვეშევრდომს შეუძლიან მიიღოს საქართველოს ქვეშევრდომობა. ქვეშევრდომობის ამგვარ მიღებას ეწოდება ნატურალიზაცია.

3) ნატურალიზაცია უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომებისა შესაძლებელია საქართველოში ქვემორე აღნიშნულ პირობათა დაცვით:

ა) საჭიროა, რომ აღნიშნული პირნი ბინადრობდნენ და სცხოვრობდნენ საქართველოში არა ნაკლებ სამი წლისა ამ კანონის ძალაში შესვლის დღიდან;

ბ) უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომი, რომელიც საქართველოს ქვეშევრდომობის მიღების სურვილს აცხადებს, იმ შემთხვევაში, თუ მის სახელმწიფოსთან დადებულია ხელშეკრულება იმ პირთა გაცემისა, რომელნიც მოვალენი არიან სამხედრო ბეგარა მოიხადონ, უნდა წარმოადგინოს თავის სახელმწიფოს მიერ მიცემული მოწმობა შესახებ იმისა, რომ მას მოხდილი აქვს ან განთავისუფლებულია სამხედრო ბეგრისაგან და

გ) საჭიროა ამ პირმა მიიღოს მთავრობის (მინისტრთა საბჭოს) ნებართვა საქართველოს ქვეშევრდომობის მიღებაზე.

4) უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომნი, რომელსაც ჰსურს საქართველოს ქვეშევრდომობა მიიღოს, ამის თაობაზე მიჰმართავს თხოვნით საქართველოს მთავრობას (მინისტრთა საბჭოს) და წარადგენს ამასთანავე კომისარის მოწმობას იმის დასამტკიცებლად, რომ იგი სამი წლის განმავლობაში სცხოვრობდა საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში და აგრეთვე შესაფერის მოწმობას, უცხო სახელმწიფოს მთავრობის მიერ მიცემულს, რომელიც აღნიშნულია ამ კანონის მე-3 მუხ. მე-2 პუნქტში. მთავრობას აქვს უფლება ან დართოს ნება ნატურალიზაციისა ან უარჰყოს იგი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომის მიერ დაცული იქნება ყველა ფორმალური მოთხოვნილება კანონისა.

5) უცხო ქვეყნის ქვეშევრდომთ, რომელნიც საქართველოს რაიმე თვალსაჩინო სამსახურს გაუწევენ, ან ცნობილნი იქნებიან თავის ნიჭით, ან მოიხვეჭენ სახელს თავისი ნაწარმოებით სამეცნიერო, ლიტერატურულ ან ხელოვნების დარგში, ან ვინც ქართულ საზოგადოებრივ ხასიათის სასარგებლო საქმისათვის დიდ თანხას გაიღებს, ყველა ამათ შეუძლიათ მოიპოვონ საქართველოს ქვეშევრდომობა, მთავრობის ნებართვით ზემოაღნიშნული მოთხოვნილების (3 წლის განმავლობაში საქართველოს საზღვრებში ცხოვრება) შეუსრულებლათაც.

6) უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომი, რომელმაც ნატურალიზაციით მიიღო საქართველოს მოქალაქეობა იძენს საქართველოს ქვეშევრდომთა ყველა უფლებებს იმ დღიდან, რა დღიდანაც მთავრობა მისი ნატურალიზაციის შესახებ დადგენილებას მიიღებს.

7) უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომი ქალი საქართველოს მოქალაქეობის ყველა უფლებებს იძენს ქართულ ქვეშევრდომზე გათხოვებით.

8) საქართველოს ყოველ ქვეშევრდომს, რომელიც საქართველოს საზღვრებს დასტოვებს უფლება აქვს საქართველოს ქვეშევრდომობა მოიხსნას უკეთუ მას: ა) მოხდილი აქვს სამხედრო ბეგარა, თუ ამ უკანასკნელისაგან იგი განთავისუფლებული არ არის, და ბ) შესრულებული აქვს დანარჩენი ყოველგვარი თავისი მოვალეობანი საქართველოს რესპუბლიკის მიმართ.

9) საქართველოს ქვეშევრდომობა ისპობა:

ა) უცხო სახელმწიფოში ნატურალიზაციით,

ბ) მიღება უცხო სახელმწიფოს მთავრობისაგან საქართველოს მთავრობის ნებადაურთველად, სახელმწიფო თანამდებობისა და

გ) საქართველოს ქვეშევრდომ ქალის უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომ კაცზე გათხოვებით.

### გადასახადთა ინსპექციის შტატების გამრავლების და მის მოხელეთა ჯამაგირის მომატების შესახებ.

I. გადასახადთა ინსპექციის შესახებ არსებული კანონ-დებულების და მის შტატის შესაცვლელად და დასამატებლად დაწესებულ იქნეს:

1. გადასახადთა ინსპექტორების უმცროსის თანაშემწეთა თანამდებობა გაუქმებულ იქნეს. სახელწოდება გადასახადთა ინსპექტორების უფროს თანაშემწეთა მოისპოს და დაწესდეს სახელწოდება გადასახადთა ინსპექტორის თანაშემწისა.

2. გადასახადთა ინსპექტორების და მათი თანაშემწეების ჯამაგირი, აგრეთვე შემადგენლობა მათი კანცელარიებისა და ჯამაგირი კანცელარიის მოხელეთა დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართულ შტატების თანახმად.

3. ყოფილ ამიერ-კავკასიის 1918 წ., 3 მარტის დადგენილება, რომლის ძალით გადასახადთა ინსპექციის მოხელეთ ეძლევათ სიძვირით გამოწვეული დამატებითი ჯამაგირი, გაუქმებულ იქმნეს.

4. საგანგებო კრედიტი, რომელიც 1914 წ., 3 ივლისის კანონის, მე-9 მუხლის ძალით ყოველ წლივ იხსნება გადასახადთა ინსპექტორების, მათი თანაშემწეების და საქმის მწარმოებელთა საჩუქრების მისაცემად და დახმარების აღმოსაჩენად, დახურულ იქმნას.

5. გადასახადთა ინსპექტორებს და მათ თანაშემწეებს, გარდა თანამდებობასთან დაკავშირებულ ჯამაგირისა, მიეცეთ წლიურად: ქალაქის ინსპექტორს—800 მანეთი და მის თანაშემწეს—600 მანეთი, მაზრის ინსპექტორს 2100 მანეთი და მის თანაშემწეს 1200 მანეთი სამსახურით გამოწვეულ საგზაო ხარჯად ანგარიშის წარმოუდგენლად.

6. გადასახადთა ინსპექტორს საკანცელარიო ხარჯებისთვის მიეცეს წლიურად 900 მანეთი ანგარიშის წარმოუდგენლად.

7. ტფილისის და ტფილისის მაზრის გადასახადთა ინსპექტორებს კანცელარიების ბინის დასაქირავებლად, მის გასათბობად და გასანათებლად მიეცეთ წლიურად თვითეულს 3.000 მანეთი, ქუთაისის, ფოთის, სოხუმის, სოხუმის ოლქის და ქუთაისის მაზრის ინსპექტორებს—1200 მანეთი თვითეულს ანგარიშის წარმოდგენით. დანარჩენ ქალაქების და მაზრების ინსპექტორებს აღნიშნული საჭიროებისთვის და აგრეთვე კურიერების დასაქირავებლად—1200 მანეთი თვითეულს ანგარიშის წარმოუდგენლად.

II. დაარსდეს ექვსი ახალი თანამდებობა გადასახადთა ინსპექტორებისა, მათ შორის სამი ტფილისში, ერთი ქუთაისში, ერთი ფოთში და ერთიც შორაპნის მაზრაში და თორმეტი ახალი თანამდებობა გადასახადთა ინსპექტორების თანაშემწისა, მათგან თერთმეტი ტფილისში და ერთიც ტფილისის მაზრაში. თანამდებობა ქუთაისის გადასახადთა ინსპექტორის თანაშემწისა გაუქმებულ იქმნას.

III. ამ კანონის მეორე მუხლში აღნიშნული შტატები შემოღებულ იქმნას ამა წლის პირველ სექტემბრიდან.

I. გადადებულ იქმნას ყოველ წლიურად სახელმწიფო ხაზინიდან: 1. გადასახადთა ინსპექტორების, მათი თანაშემწეების, კანცელარიების მოხელეთა და კურიერების, სადაც უკანასკნელნი შტატით არიან დაწესებულნი, ჯამაგირებისათვის 1,338,600 მანეთი; 2. გადასახადთა ინსპექტორების საკანცელარიო ხარჯებისათვის 35,100 მანეთი; 3. გადასახადთა ინსპექტორების და მათი თანაშემწეების სამსახურით გამოწვეულ საგზაო ხარჯად 71,000 მან.; 4. გადასახადთა ინსპექტორების კანცელარიების ბინების დასაქირავებლად, მათ გასათბობად, გასანათებლად—73,000 მან.

მიეცეს ამ კანონის მეორე მუხლში აღნიშნულ საჭიროებისათვის მიმდინარე წლის დამლევამდის 506,176 მანეთი.

არსებული კრედიტი გადასახადთა ინსპექციის შესანახად დახურულ იქნას სრულებით.

## საექიმო-სასანიტარო საქმე

### „ისპანკა“.

საქართველოს რესპუბლიკის საექიმო სასანიტარო გამგეობას სხვა და სხვა ადგილებიდგან საქართველოსი ფოსტით და ტელეგრაფით ამბები მოსდის, რომ დაბა სოფლებში ძალიან გავრცელებულია ინფლუენცია ეგრე წოდებული „ისპანკა“, რომელმაც ბევრი იმსხვერპლა. ყველა სჩივის უექიმობაზე და წამლების უქონლობაზე.

### ახალ არჩევამდე.

ქალაქის საექიმო-სასანიტარო ინსპექტორმა ექიმმა ი. ს. იგიტიანცმა, რომელიც არჩეულია ქალაქის ქსენონების უმთავრეს ექიმის თანაშემწეთ, ქალაქის ექიმთა კავშირის კომიტეტს გამოუცხადა, რომ საექიმო სასანიტარო ინსპექტორად დარჩენა საბჭოს ახალ ხმოსანთა არჩევნამდე არ შემიძლიაო და სთხოვს ეხლავე კავშირმა კანდიდატი ამოირჩიოს ამ თანამდებობაში ქალაქის გამგეობის მიერ დასამტკიცებლად.

### ბეითალების გაგზავნა.

საქართველოს რესპუბლიკის საბეითალო მართველობამ გადასწყვიტა ორ ორი ბეითალი გაიგზავნოს ჯერობით ექვს კვირის ვადით ქუთაისში საქონლის შრატის მოსამზადებლად საქონლის ჭირის საბრძოლველათ დაარსებულ სადგურში და საქონლის ჭირის აცრის პრაქტიკულ სასწავლებლად.

### ხოლერა.

9 ნოემბრიდან 13-დე ქალაქის ქსენონში მიუყვანიათ 1 ხოლერით ავათმყოფი და 2 საეჭვო. ამავე დროს მომკვდარა ერთი ხოლერით ავათმყოფი, მორჩენილა ორი. 13 ნოემბერს ქსენონში დარჩენილა 23 ხოლერით ავადმყოფი და 4 საეჭვო.

### რევიზია.

აფთიაქების სარევიზიოთ დაწესებულ კომისიაში შრომის სამინისტროს წარმომადგენლათ დაინიშნა ტფილისის გუბერნიის შრომის კომისარი ლ. ო. ელბაქიანი.

## ქართული ლატარია.

ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირების გამგეობამ დაიკვეთა ასი ათასი მანეთის ბილეთი კოოპერატივებში გასავრცელებლათ.

ზუგდიდის თვითმმართველობამ ლატარიის კომისიას ზუგდიდსა და სენაკის შუა მიმოსვლისათვის უფასოდ დაუთმო თავისი ავტომობილი.

ქ. ხაშურის თვითმმართველობის გამგეობამ ქალაქისათვის შეიძინა ასი თუმნის ლატარიის ბილეთები.

— სერგეი აბრამის ძე ნასიძის გარდაცვალების გამო ქ-ნ ნ. გაბაშვილისამ გვირგვინის ნაცვლად მის შვილებს გადასცა 200 მ. ქართ. ლატარიის ბილეთი.

— ქართულმა კლუბმა დაადგინა შეიძინოს 10.000 მან. ბილეთი.

— კვირას, 17 ნოემბერს ქ. გორს მიემგზავრება გამგე-დირექტორი ლატარიისა სოლ. ახვლედიანი ადგილობრივ კომიტეტის შესადგენათ.

## ბიბლიოგრაფია

### „საიათნოვა“.

ი. გრიშაშვილი.

გამოვიდა და იყიდება ი. გრიშაშვილის შედგენილი წიგნი „საიათნოვა“. არა გვსურს დაწვრილებით წიგნის განხილვა; მისი საბოლოო დაფასება ჩვენი ლიტერატორის ისტორიის საქმეა. მოკლეთ, ვიტყვით მხოლოდ, რომ, ძველ, ხალხურ პოეზიას უაღრესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ერის ცხოვრებაში; ხალხური პოეზიის შემოქმედთ და გამავრცელებელთ რიცხვს ეკუთვნიან აშულები, მასხარა—მოშაირეები, რომლებიც „გონების ფირფიტაზე“ სწერდენ ლექსებს. მათი მოღვაწეობა და მნიშვნელობა დაწვრილებით აწერილი აქვს ავტორს წიგნის პირველ ნაწილში („საიათნოვა და ძველი ტფილისი“). ეს ნაწილი საუკეთესო წყაროთ უნდა ჩაითვალოს ძველი ტფილისისა და მისი პოეზიის მკვლევართათვის. აქ იპოვით ძველი ყარაჩოღლების ცხოვრების აღწერას, აშულთა ნაწარმოების ნიმუშებს, ძველი „ირაკლისეულის ტფილისის“ ისტორიული ნაშთებისა და ფაქტების განხილვას, მაშინდელი „თფილელ“ კაცის ზნეჩვეულებას და სხ.

თვითეულ წინადადებას, სიტყვას ი. გრიშაშვილისებური ნაზი პოეზიის ბეჭედი აზის. პირველ ნაწილში, ავტორის საკუთარ გულის ტკენასაც აქვს ადგილი: მაგ. 18 საუკუნეში ერთი და იგივე ლექსი რამდენიმე ენაზე იწერებოდა; მგოსანი ამის შესახებ სამართლიანათ აღნიშნავს მწუხარებით: „ასეთი ჯირითი წმინდა პოეზიას არ უხდება, პოეზიის ყვავილებს აჩოფურებს. ეს დალაქობააო“. არა ნაკლებ აწუხებს ავტორს მე-18 საუკუნიდან ჩვენ ლიტერატურაზე რუსიციზმის გავლენა.

ისტორიული საბუთებიც ბევრია გაბნეული პირველ ნაწილში. ტფილისის მემკვიდრეობის შესახებ ავტორს მოჰყავს თვით სომხის მემატიანეს ნათქვამი: „ტფილისი არის დიდებული ხატახტო ქალაქი საქართველოსი; საიათნოვაც კი ამბობს ტფილისის შესახებ: „ჩემი სამშობლო ტფილისიო, საქართველოს გულიო“.

საერთოდ, პირველ ნაწილში ზოგიერთი ლიტერატურულ-ისტორიული ფაქტები უფ-

რო გამორკვეული, ვინემ თვითონ საიათნოვას პიროვნება, მაგრამ ყოველივე ამას მაინც „საიათნოვას“ უნდა უმადლოდეთ.

მეორე ნაწილში მოთავსებულია „საიათნოვას ძეგლი (სურფგეურქის ეკლესიაში) და ლექსები.

მესამე ნაწილში მოთავსებულია ლექსიკონი იმ სიტყვათა, რომლებიც ავტორს ამ წიგნში აქვს ნახმარი, რაც გამოადგება მასალათ ჩვენი ლექსიკონის შემდგენელთ. დასასრულ უნდა ითქვას, რომ ეს წიგნი ი. გრიშაშვილის ერთ საუკეთესო ნაშრომათ უნდა ჩაითვალოს. წიგნი ლამაზად არის დაბეჭდილი საუკეთესო ქაღალდზე და ეხლანდელი ზღაპრული სიძვირის დროს, არც თუ ისე ძვირია 15 მანეთი.

გ.

# ქრონიკა

○ კვირას, 17 ნოემბერს, 11 საათზე ახალ კლუბის დარბაზში დანიშნულია დამოუკიდებელთა (უპარტიოთა) კავშირის წევრთა საზოგადო კრება. დღიური წესრიგი: 1) კავშირის დებულებათა ახალი პროექტი; 2) მიმდინარე საკითხები; 3) საბჭოს წევრთა არჩევნები.

○ კვირას, 17 ნოემბერს, რეალურ სკოლის დარბაზში უჩენ. ქ. 12 საათზედ დღისა ქართ. სამუსიკო საზოგადოება ჰმართავს 1 კამერულ უფასო კონცერტს მოსწავლეებისათვის. ლექციას გერმანულ მუსიკის შესახებ წაიკითხავს დ. ი. სამინსკი.

○ ქალაქის სასწავლებლების საბჭო ქალაქის დაბალ დასაწყის სასწავლებლებში ბუნების მეტყველების სწავლის პროგრამის შედგენას შეუდგა.

○ კვირას, 17 ნოემბერს, გამოვა ახალი პოლიტიკური, სალიტერატურო და სამხედრო ჟურნალი „ჯარი და ერი“. ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენში ცნობილი პუბლიცისტები, მწერლები და სამხედრო სპეციალისტები.

○ პარლამენტის წევრმა ი. ჩერქეზიშვილმა განცხადება შეიტანა პარლამენტის პრეზიდიუმში, რომ ის თავს ანებებს პარლამენტის წევრობას.

○ ამიერ-კავკასიის ქალთა ინსტიტუტის ლიკვიდაციის შემდეგ 45 მოსწავლე უპატრონო ქალები დარჩნენ. ზოგი მათგანი ობოლია, ან ჰყავს დედ-მამა, მაგრამ აქ არ იმყოფებიან და არც იციან სად მოემწყვდენ რუსეთში ანარქიის გამო. ეს 45 ბავშვი დროებით მთავრობის ხარჯით ინტიტუტისავე შენობაში დარჩნენ, მხოლოდ სასწავლებლათ წმიდა ნინოს სასწავლებელში დაიარებიან.

○ უკრაინის რადას ბინაში ამ კვირიდგან განახლებული იქნება ყოველ კვირას შაბათის საღამოების გამართვა კონცერტების განყოფილებით.

○ 6 ნოემბერს დესიმონის ქუჩაზე მილიციონერებმა იპოვეს უცნობი კაცის გვამი.

○ ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილებამ ყუბანიდან წინადადება მიიღო იქაურ მოვაჭრე ფირმებისაგან კავკასიის ჩაის ხორბალზე გაცვლის შესახებ.

○ „ტფილისის კრუჟოკი“ თავის საზამთრო ბინაში გადავიდა და განაახლა ხუთშაბათობით საოჯახო საღამოების გამართვა. სამშაბათ-პარასკეობით სინემატოგრაფის სეანსები იმართება.

# ქუთაისი

○ ქუთაისის გუბერნიის კომისარი ატყობინებს ქალაქის თვითმართველობას, რორადგან გაუქმებულმა „მეშჩანთა“ სამამასახლისო, ამიტომ მთელი ქონება ჩაიბაროს ქალაქმა.

○ სამტრედიის ქალაქის მოურავი პაპავა დეპეშით ატყობინებს გუბერნიის კომისარს, რომ მიღებულია ყოველგვარი ზომები რკინის გზის და ხიდების დასაცავათ.

○ ქუთაისის მაზრის კომისარი ატყობინებს გუბერნიის კომისარს, რომ დღემდი დაცული იყო ტყეები. ეხლა სოფლელებს ესაჭიროებათ ზამთრისთვის შეშა, და თუ არ მიეცა, მოსალოდნელია ამ ნიადაგზე მოხდეს არა სასურველი შედეგები.

○ ქუთაისის ქალაქის გამგეობა საჩქაროთ ატყობინებს ქუთაისის ფარმაცევტთა პროფესიონალურ კავშირის ბიუროს: რადგანაც ქალაქში ათასგვარი ავათმყოფობაა გავრცელებული, როგორც, მაგალითად: ხოლერა, შავი სახადი, ისპანიური ავათმყოფობა, რომელმაც ეპიდემიური ხასიათი მიიღო და სხ., ქალაქის საბჭომ თავის სხდომაზე 30 ოქტომბერს, იქონია რა მსჯელობა ასეთი მდგომარეობის შესახებ, საჭიროდ დაინახა, რომ დროებით, სანამ ქალაქში ეგრეთ წოდებული „ისპანიური სენი“ მძვინვარებს, ქალაქში არსებულ რვა აფთიაქიდან შვიდი ყოველ დღე-ღამე, კვირა უქმე დღეებშიაც, ღია იქნეს, რომ ამგვარათ ქალაქის მცხოვრებლებს შეძლება მიეცეთ თავის დროზე მიაწოდონ ავათმყოფებს წამალი; მერვე აფთიაქი კი შეიძლება მორიგეობით დაიკეტოს. გაუწყებთ რა ამას, ქალაქის გამგეობა გთხოვთ გამოიტანოთ დადგენილება, რომ ფარმაცევტებმა ზედმეტი მუშაობისათვის არ მოითხოვონ მეტი სასყიდელი და დაკმაყოფილდენ ჩვეულებრივი ჯამაგირებით.

○ თანახმად მთავრობის განკარგულებისა, სამაზრო ადმინისტრაციამ განკარგულება დაუგზავნა სოფლის კომისრებს, რომ თუ 5 ნოემბრამდი არ გამოცხადდებიან დეზერტირები, იმ შემთხვევაში დაპატიმრებულნი იქნებიან დეზერტირების მშობლები, მანამსანამ არ გამოცხადდებიან მათი შვილები სამხედრო სამსახურში.

○ სამაზრო ადმინისტრაციამ მიიღო სავალდებულო დადგენილება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ცენტრალური სასურსათო საბჭოსი და ყველა რაიონებში დაგზავნა გასავრცელებლათ.

○ ქუთაისის სამხედრო საკრებულოში, თანახმად მთავრობის განკარგულებისა მოხდა მოსამსახურეთა შტატის შემოკლება, დათხოვნილთ მიეცემათ სალიკვიდაციო.

○ გუბერნიის კომისრის განკარგულებით პირველ ოქტომბრიდან ქუთ. სამაზრო ციხე გაუქმებულია. მოსამსახურეები დარჩენ შტატს გარეშე და მიეცათ სალიკვიდაციო სამაზრო კომისარიატმა უკვე ჩაიბარა ამ ციხის ქონება.

○ მაზრის კომისარმა დაუგზავნა ბრძანება სარაინო კომისრებს და ქალაქ სამტრედიის და ხონის კომისრებს, რომ ყოველ ორ კვირაში ერთხელ მიაწოდონ მას ცნობა რაიონებში ყოველივე შემთხვევების შესახებ.

○ სამხედრო რაიონის კომისარი ატყობინებს მაზრის კომისარს, რომ ტობანიერის საზოგადოებაში გაჩენილა საქონლის ჭირი და თხოვს იშუამდგომლოს, რათა გაგზავნილი იქნას ბეითალი. იგივე იტყობინება, რომ ხსენებულ საზოგადოებაში მძვინვარებს ისპანიური ავადმყოფობა და სთხოვს მაზრის კომისარს გაგზავნილ იქნას იქ აქიმი. ამ თხოვნების შესახებ მაზრის კომისარმა აღძრა შუამდგომლობა სამაზრო ერობის წინაშე.

○ გაფიცვის მოხსნა. დასავლეთ საქართველოს ხაზინებში მოსამსახურეთა კავშირის გამგეობამ 5 ამა ნოემბრისთვის გამოცხადებული გაფიცვა მოხსნა, ვინაიდან მთავრობამ დეპეშით აცნობა კავშირს, რომ სააღდგომო ოთხი პროცენტიანი საჩუქრებისა და მომატებული ჯამაგირების კანონ-პროექტი 5 ნოემბერს იყო შეტანილი პარლამენტის დღის წესრიგში, სადაც დადასტურდებოდა კიდეც, რადგან ეროვნულ საბჭოს ფინანსიურ კომისიას ის დიდი ხანია განხილული და მოწონებული ჰქონდა.

## განცხადებები

# აუქციონი

**აუქციონერთა საზოგადოებისა „დეიატელ“**

გოლოვინის პროსპექტი, № 34.

კვირიდან, 17 ნოემბრიდან, ყოველ დღე ამა წლის 24 ნოემბრამდე დანიშნულია გაყიდვა ვადა გასულ გირაოებისა: ძვირფასი ქვები, ოქროს, ლითონის და სხვ. ნივთების.

ვადა გასულ გასაყიდ ნივთების კვიტანციების ნომრები:

73, 517, 721, 739, 863, 929, 114, 211, 221, 244, 274, 294, 314, 363, 492, 516, 523, 536, 554, 575, 624, 625, 628, 629, 636, 641, 648, 662, 664, 665, 668, 712, 719, 726, 737, 743. 1032 3—1

რომან მიხეილის ძე ტოლსტოპიატოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მოწმობა სათადარიგო ჯარის უფროსიდან მიღებული მოწმობის დაკარგვის შესახებ, ამონაწერი ქალაქის თვითმმართველობის დადგენილებიდან ტეხნიკოსის თანამდებობაზე მიღების შესახებ და მოწმობა იმისი, რომ ის, ტოლსტოპიატოვი, მსახურებს ქ. მმართველობაში. 1029 3—1

მინას სულხანიანცი აცხადებს, რომ 5 ნოემბერს მან დაჰკარგა ასიგნოვკა № 584 57 მ. 18 კ., მიღებული სახაზინო პალატიდან. ასიგნოვკა გაუქმებულად ითვლება. 1044 3-1

ოქტომბრის 5 1918 წ. სოფ. ახმეტის და ალვანის შუა (თიანეთის მაზრა) დამეკარგა თელავის სამაზრო სამხედრო უფროსის მიერ ამა წლის 25 სექტემბერს მოცემული დროებითი მოწმობა, № 9041 რაც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. გიორგი კოსტანტინეს ძე ბუქურაული. 1036 3—1

სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების მე-846, 847, 848 და 851 მუხ. ძალით, ტფილისის ოლქის სასამართლოს დადგენილებით ეძებენ ქ. ტფილისის მოქალაქეს სერგი თომას ძე სივისს, იგივე სივას, რომელიც ცხოვრობდა პრიუტის ქუჩაზე, № 20. სივისის ნიშნები შემდეგია: 16 წლის, შუათანაზე მაღალი, წაბლის ფერი თმა, სუფთა სახე. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს სივისი, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება სივისის ქონება, ვალდებული არიან დაუყონებლივ შეიტანონ საოპეკუნო სამმართველოში. 654 1—1

ცხადდება, რომ ტფილისის ოლქის სასამართლოს დადგენილებით 1918 წ. სექტემბრის 13 კოოპერატივთა ამხანაგობის ნუსხაში მე-140 №-ით შეტანილია ინჟინერთა და ტეხნიკოსთა ქართული საზოგადოება. 651 1—1

სოხუმის განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე, ექვსი თვის ვადაში ამ განცხადების დაბეჭვდიდან იწვევს გარდაცვალებულ სერგი სერგის ძე სპასკის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება სპასკის ქონებაზე. 799 1—1

ქ. ტფილისის მეოთხე მომრიგებელ განყოფილების სასამართლოს ბოქაული იწვევს 1918 წ. იანვარში გარდაცვალებულის მიხეილ სტეფანეს ძე კელაპტრიშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება კელაპტრიშვილის ქონებაზე სამ. კან. კრებ. 1241 მუხ. ძალით დადგენილ ვადაში. 800 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ოქტომბრის 17 მის მიერ დამტკიცებულია სიმტკიცის სიგელი, შედგენილი 1917 წ. დეკემბრის 23 ტფილისის ნოტარიუს მიტკევიჩთან ნესტორ დიმიტრის ძე ნოდიას სახელზე ტფილისის სააზნაურო ბანკში საჯარო ვაჭრობაზე მის მიერ ანნა კაზიმირის ასულის მიქაბერიძის მამულის შეძენის შესახებ. მამული მდებარეობს ქ. სოხუმში, ადმირალტეის ქუჩაზე ლიტ. „ია“ № 8, ზომით $180\ ^5/_{10}$ ოთხკ. საჟ. 6100 მან. 868 1—1

ცხადდება, რომ ტფილისის ოლქის სასამართლოს დადგენილებით 1918 წ. ივლისის 25 კოოპერატივთა ამხანაგობის რეესტრში შეტანილია კავკასიის პირველი საავტომობილო-სატრანსპორტო და საკომისიო-სავაჭრო ამხანაგობა: „სამოხოდ“. 653 1—1

სოხუმის მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე 1918 წ. სექტემბრის 25 დადგენილების თანახმად, სისხ. სამ. საქ. წარ. მე-876 მუხ. ძალით ეძებს ქ. სოხუმის მცხოვრებს მიზაკ ჩაბალ-ოღლის, რომელსაც ბრალი ედება სასჯ. წესდ. მე-169 მუხ. ძალით. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ჩაბალ-ოღლი, ვალდებულია განუცხადოს სოხუმის მომრიგებელ მოსამართლეს. 657 1-1

სალომე ტუსიშვილისა აცხადებს, რომ მისი შვილი დავითი იმყოფებოდა ქ. თავრიზში მე—407 ტრანსპორტის უფროსად. არავითარი ცნობა არ არის მისგან 1918 წ. 1 აგვისტოდან. ტუსიშვილისა უმორჩილესად სთხოვს მისი შვილის ამხანაგებს და ნაცნობებს, თუ რაიმე იციან მის შესახებ აცნობონ შემდეგი მისამართით: ვერა, არწრუნიევის ქ. № 30. 1039 3—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. სექტემბრის 17 მის მიერ აღნიშნულია სიმტკიცის მოწმობა, შედგენილი გუდაუთის ნოტარიუს მგალობლიშვილთან 1918 წ. სექტემბრის 3 ნესტორ პავლეს ძე პაჭკორაიას ქონებაზე, რომელიც მდებარეობს ქ. გუდაუთში, უბ. № 61. 4 №-ით, ზომით 250 ოთხ-კუთხ. საჟ. 500 მან. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 20 მან. სალერბო 2 მ. 50 კ. 1—764—1

1918 წ. სექტემბრის 2 სოხუმის ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებამ სისრულეში მოსაყვანად დაამტკიცა 1918 წ. ივნისის 19 შედგენილი ნოტარიალური ანდერძი 1918 წ. ივნისის 20 გარდაცვალებული ვასილ ვასილის ძე ვასილიევისა, რომელიც ცხოვრობდა ქ. გუდაუთში. 1—656—1

ხონის მომრიგებელ უბნის სამ. კან. კრებ. მე-1233 და 1241 მუხ. ძალით, ექვსი თვის ვადაში იწვევს ივანე დავითის ძე ჭავჭანიძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ჭავჭანიძის ქონებაზე. 707 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. სექტემბრის 17 მის მიერ აღნიშნულია სიმტკიცის მოწმობა, შედგენილი გუდაუთის ნოტარიუს მგალობლიშვილთან 1918 წ. აგვისტოს 29 № 17, მიწის ორ ნაჭერზე, რომელიც მდებარეობს ქ. გუდაუთში № 2 და 3, ზომით 588 ოთხკ. საჟ. 514 მან. 50 კ. დამტკიცებული ვლადისლავ სიმონის ძე პერკოზე. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 20 მან. 60 კ. სალერბო 3 მან. 859 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. აგვისტოს 27 დამტკიცებულია, 1918 წ. აპრილის 14 შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მიხეილის საადგილ-მამულო ბანკმა 2207 მან. 82 კაპ. მიჰყიდა ოლღა კონსტანტინეს ასულს თუთბერიძეს მიწის ნაჭერი შენობებით ქ. ქუთაისში, არქიელის გორაზე, ზომით 1800 ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 176 მ. მთავარი ამონაწერი 22 მან. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია 1918 წ. აგვისტოს 27. 666 1—1

არჩილ ამბაკოს ძე ნიკობაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ლატარიის ორი ბილეთი № 261. 262 ამა წლის ოქტ. 28. 1010 3-2

პოდპოლკოვნიკი კონსტანტინე პროკოფის ძე ანდრონიკოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პიროვნების მოწმობა, მიღებული ქ. ტფილისის გარნიზონის უფროსისაგან 1918 წ. ივნისის შვიდს, 305 №-ით. მოწმობა გაუქმებულად ითვლება. 961 3—2

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. სექტემბრის 4 დამტკიცებულია, სოხუმის ნოტარიუს ზატვორნიცკისთან შედგენილი, ნასყიდობის სიგელი, რომელითაც ანასტასია დიმიტრის ასულმა მარიეტიმ 1600 მან. მიჰყიდა აივაზ მარკოზის ძე ოგანესიანცს მამული ქ. გუდაუთში, ზომით $75^{14}/_{15}$ ოთხკ. საჟ. 423 3—2

ამ წლის 9 ნოემბერს ჩემდამი რწმუნებულ საგუბერნიო ციხის პატიმარმა ზაქარია გიგოლას ძე მანგიაშვილმა დაჰკარგა უბიდგან უვადო პასპორტი, მიღებული დუშეთის საპოლიციო სამმართველოს მიერ 1907 წ. რაც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 946 3—2

ამა წლის ივლისში ბინიდან მოპარულია შემნახველი ხელწერილი ტფილისის სახელმწიფო ბანკისა, 1917 წ. ოქტომბრის 17. № 04930 17500 მან., რომელიც ეკუთვნოდა ეფროსინე მიხეილის ასულ გოროდენსკის. ეს ხელწერილი გაუქმებულად ითვლება. 3—1024—2

სამსონ ბესარიონის ძე გეგეშიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი და იარაღის ტარების მოწმობა. მპოვნელს სთხოვენ მიაწოდოს შემდეგი მისამართით: მეჟვეოის ქუჩა № 38, რისთვისაც მიიღებს შესაფერ ჯილდოს. 1020 3—3

ლევანტი გლახუას ძე ძნელაძე აცხადებს რომ მან დაჰკარგა სახალხო გვარდიაში თანამშრომლობის მოწმობა. მპოვნელს სთხოვენ გაუგზავნოს: არსენალი, საარტილერიო საწყობი. 1023 3—3

ქ. ტფილისის მეორე განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე 1918 ოქტ. 25 დადგენილებით, სამოქ. კან. წესდ. მე-1460[44] მუხ. ძალით აცხადებს, რომ ვექილობა მიცემული ალექსანდრე ნაზარის ძე მილოვის მიერ არკადი (იგივე არშაკ) ნაზარის ძე მილოვზე, ვექილობა, რომელიც შედგენილია ტფილისის ნოტარიუს მიტკევიჩთან 1910 წ. მარტის 22 რეესტრი № 3328, გაუქმებულად ითვლება. 946 3—3

ვააგა მელკონის ძე ნაზარეტიანცი აცხადებს, რომ ნოემბრის 6-ს მას ჯიბიდან ამოართვეს საფულე, რომელშიაც იყო 250 მ. კვიტანციები და უვადო პასპორტი, წამლებს თხოვენ მისთვის გამოუსადეგარი საბუთები დაუბრუნოს: ალექსანდრეს ქ. № 5. 1031 3—3

# ცენტრალური სასურსათო საბჭო

**(ყოფილი სასურსათო სამინისტრო)**

მადათოვის ქ. № 3, ამით აცხადებს საზოგადო დაწესებულებათა და კერძო პირთა საყურადღებოდ, რომ მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ ხსენებულ საბჭოში მარცვალი მარილი დაწესებულ ფასებში. მარილის მიღება შეიძლება ქ. ტფილისში და ფოთში. 952 12—2

რედაქტორი პ. დ. საყვარელიძე.

სტამბა საქართველოს მთავრობისა.